სს „საქართველოს რკინიგზის“ ხარისხის პოლიტიკა

სს „საქართველოს რკინიგზის“ უპირველესი დანიშნულებაა კავშირის უზრუნველყოფა ევროპასა და აზიას შორის, ტვირთების ეფექტური გადაზიდვა, მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტული გადაყვანა და ამით ღირსეული წვლილის შეტანა ქვეყნის განვითარებაში, მის ეკონომიკურ წარმატებაში.

სს „საქართველოს რკინიგზა“ განსაზღვრავს ხარისხს, როგორც კლიენტების, საკანონმდებლო და ყველა სხვა რელევანტურ მოთხოვნასთან შესაბამისობას, რათა უზრუნველყოს ეფექტური სატვირთო გადაზიდვები, მგზავრთა გადაყვანა და, ასევე, გამართული სარკინიგზო ინფრასტრუქტურა.

სს „საქართველოს რკინიგზა“ ორიენტირებულია საქმიანობის იმგვარად წარმართვაზე, რომ მაქსიმალურად დააკმაყოფილოს კლიენტების მოთხოვნები და მოლოდინები. აქედან გამომდინარე, ორგანიზაცია მუდმივად ისწრაფვის მიაწოდოს კლიენტებს მომსახურება, რომელიც არის: დროული, ეფექტური, კონკურენტული, საიმედო, სანდო, უსაფრთხო, კომფორტული და კეთილსინდისიერი.

სს „საქართველოს რკინიგზის“ ყოველდღიური საქმიანობა, დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ორიენტაცია კლიენტზე და სწრაფვა მისი მოლოდინებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რაც გულისხმობს კლიენტთა მოსაზრებების მიღების, მათი ანალიზის და მათზე ადეკვატურად რეაგირების გამართული და ეფექტური მექანიზმების არსებობას;
- კლიენტებთან, პარტნიორებთან, თანამშრომლებთან თუ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სხვა მხარეებთან ურთიერთობისას პატიოსნებისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვა და მათთვის მაქსიმალური სარგებლის შექმნა;
- ქვეყნის კანონმდებლობის განუხრელად დაცვა;
- სწორი და ადეკვატური სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების დასახვა და მუშაობა მათ მიღწევაზე საქმიანობის ყველა მიმართულებით, ორგანიზაციის ყველა დონეზე;
- ხელმძღვანელობის მიერ ეფექტური ლიდერის როლის შესრულება, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, ისეთი მიზნების ჩამოყალიბებას, რომლებიც ორიენტირებულია განვითარებაზე, ორგანიზაციის წარმატებაზე, ზრდასა და ფინანსურ მოგებაზე და, მეორე მხრივ, თითოეული თანამშრომლის საერთო ძალისხმევით აღნიშნული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფას;
- ყოველი თანამშრომლის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობებისა და ფუნქცია-მოვალეობების ზედმიწევნით ცოდნა და საქმის კარგად კეთება ყოველთვის, ყოველ ჯერზე;
- ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში, მიღებულ გადაწყვეტილებებში თანამშრომელთა მაქსიმალური ჩართულობისა და თანამონაწილეობის უზრუნველყოფა ღია კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის საშუალებით;

- თანამშრომლებისთვის პოზიტიური სამუშაო გარემოს შექმნა, მათ მოტივაციასა და შრომით კმაყოფილებაზე მუდმივი ზრუნვა ადამიანური რესურსების მართვის ეფექტური სისტემების დანერგვის გზით;
- ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღება ფაქტობრივ ინფორმაციასა და მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც თავს იყრის აუდიტის, ცალკეული პროცესებისა და ერთიანი სისტემის გადახედვისა და შემოწმების შედეგად;
- სწრაფვა ორგანიზაციის მუდმივი განვითარებისა და გაუმჯობესებისკენ, რაც გულისხმობს როგორც პროცესების მიმდინარეობის მუდმივ მონიტორინგს, პერიოდულ შემოწმებას, შესაბამისი გამოსასწორებელი და პრევენციული ღონისძიებების დროულ გატარებას, ისე თითოეული თანამშრომლის პროფესიულ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას;
- მომწოდებლებისა და კონტრაქტორების შერჩევისა და კონტროლის გამართული პროცესის არსებობა, რაც, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება თავად ორგანიზაციის მიერ მიწოდებული პროდუქტისა და მომსახურების ხარისხზე.

სს „საქართველოს რკინიგზა“-ს სწამს, რომ ხარისხის მართვის გამართული და ეფექტური სისტემა ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის, კომპანიის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა და განუყოფელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, სს „საქართველოს რკინიგზა“ ორიენტირებულია სისტემის მუდმივ დახვეწასა და გაუმჯობესებაზე, საკანონმდებლო, კლიენტების და ყველა სხვა დაინტერესებული მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნების გათვალისწინებაზე, შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილებაზე და შესაბამისად განვითარებაზე.

სს „საქართველოს რკინიგზა“ ერთგულად ემსახურება მუდმივი განვითარების კონცეფციას და იყენებს დანერგილ ხარისხის მართვის სისტემას და საერთაშორისო სტანდარტს ISO 9001:2015, როგორც ჩარჩოს საკუთარი საქმიანობის, პროცესების გაზომვისა და გაუმჯობესებისთვის.